შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№1 (10.106)

3—10 თებერვალი, 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ გრძელდება

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში , მოსახლეობასთან შეხვედრები 31 იანვარს სამთაწყაროში, ფიროსმანსა და საბათლოში გაიმართა. კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამართულ შეხვედრებს დაესწრნენ.

„მეგობრებო, დღეს ჩვენ სოფლის კრების ჩასატარებლად და თქვენს სოფელში პრიორიტეტების შესარჩევად მარტო ჩვენ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები როდი გესტუმრეთ. როგორც ხედავთ, ჩენთან ერთადაა კახეთის გუბერნატორი. ეს ის ადამიანია, რომელიც მუდმივად ინტერესდება მოსახლეობის პრობლემებით და მზადაა, ჩვენთან ერთად ეძიოს გამოსავლის გზები. მევენახეებს რომ პრობლემები ჰქონდათ ჩაბარებული ყურძნის თანხის დაგვიანების გამო, კახეთის გუბერნატორის დახმარებით მოხდა მთავრობასთან კოორდინირება და ამ პრობლემის დროული აღმოფხვრა. მას გული შესტკივა ჩვენს მუნიციპალიტეტზე, მთელ კახეთის რეგიონზე და ამიტომ მან სურვილი გამოთქვა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შეხვედრებს დასწრებოდა, შეხვედროდა მოსახლეობას და მათთან დიალოგი უშუალოდ ეწარმოებინა.

„ქართული ოცნების“ გუნდის დამსახურებაა, რომ ბევრი საშვილიშვილო პროექტი განხორციელდა როგორც ქვეყანაში და დედოფლისწყაროში, ასევე სოფლებში. ეს ეხება, რა თქმა უნდა, ალაზნისპირა სოფლებსაც. ამისი ნათელი მაგალითია ის, რომ ბუნებრივი

აირი ყველას ოჯახშია და ტყის გაჩეხვისა და შეშის ყიდვის მავნე პრაქტიკა წარსულს ჩაბარდა; ზუსტად 32 წუთში დედოფლისწყაროდან სამთაწყარომდე ჩამოსვლა, გამართული საავტომობილო ინფრასტრუქტურის წყალობით შესაძლებელი გახდა; თებერვლის ბოლოს ახალი სკოლის შენობის რეაბილიტაცია დასრულდება და ყველაზე კარგი სკოლა სამთაწყაროს ექნება; სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა; სამთაწყაროს ქორეოგრაფიული ანსამბლის (სამხატვრო ხელმძღვანელი ნოდარ შაინიძე) პატარა მოცეკვავეებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაუფინანსდებათ ცეკვის ფორმების შეძენა და ისინი დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენას დაამშვენებენ ფოლკლორული კონცერტით“-აღნიშნა თავის სიტყვაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა **ნიკოლოზ ჯანიაშვილმა** და დასძინა, რომ „სოფლის განვითარებისთვის გამოყოფილი თანხა დიდი არაა, მაგრამ პატარა პრობლემის მოგვარება შესაძლებელია. ამისთვის კი მოსახლეობის ნებაა საჭირო, რომ სწორი გათვლა გააკეთონ. სოფლის კრებების დანიშნულებაც ხომ ესაა- ხალხის არჩევანის გათვალისწინება“.

გიორგი ალადაშვილი, ***კახეთის გუბერნატორი:*** „ მუნიციპალიტეტის მერმა საკმაოდ ვრცლად და ამომწურავად ისაუბრა განხორციელებულ მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. სოფლის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხა დიდი არაა, მაგრამ საშუალებას იძლევა, ლოკალურად მოაგვაროს სოფლის მოსახლეობის წინაშე არსებული ერთი პრობლემა. ჩვენ, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, მუდმივად მზად ვართ, შესაძლებლობის ფარგლებში, მოვაგვაროთ თქვენი ნებისმიერი პრობლემა. ჩვენი გუნდის მიზანი მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვაა. ამიტომაცაა, რომ ნელ-ნელა იშლება განსხვავება სოფელსა და ქალაქს შორის, რაც გამოიხატება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობაში, ბუნებრივი აირითა თუ სასმელი წყლით უზრუნველყოფაში, საბავშვო ბაღებისა და სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში. მომავალში სოციალური პროგრამები დაიხვეწება და მოსახლეობის ყოფა სოფლად კიდევ უფრო კომფორტული გახდება. სოფლების რწმუნებულებთან და მუნიციპალიტეტის მერთან ერთად მეც მიგულეთ თქვენს გვერდით“.

ნუგზარ პაპიაშვილი, ***დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:*** „დედოფლისწყაროში შესანიშნავი ხალხი ცხოვრობს და ჩვენ ამით ვამაყობთ. ხელისუფლების წარმომადგენლებს მოსახლეობასთან მუდმივი კომუნიკაცია გვაქვს, ამიტომ მათი სურვილები თუ პრობლემები ჩვენთვის უცხო არაა“.

მოსახლეობამ პროგრამით განსახორციელებელი პროექტები ხმათა უმრავლესობით შეარჩია. სამთაწყაროს მოსახლეობამ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში პრიორიტეტად აფხაზეთის ომის გმირის რუბენ მურვანიძის მემორიალისა და სკვერის მოწყობა დაასახელა; საბათლოს მოსახლეობამ საბავშვო ბაღის ეზოში დამატებითი ატრაქციონის დამონტაჟება და სასაფლაოს კეთილმოწყობა მიიჩნია პრიორიტეტად, ხოლო ფიროსმანის მცხოვრებლებმა - შინდისის გმირების სახელობის მემორიალზე განათების სისტემის დამონტაჟება მოითხოვეს.

შეხვედრების დასრულების შემდეგ, გიორგი ალადაშვილი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი და ნუგზარ პაპიაშვილი საბათლოს საბავშვო ბაღს ესტუმრნენ, სადაც ახლად რეაბილიტირებულ და თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბაღის შენობაში საალმზრდელო პროცესს გაეცნენ.

* * *

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების გამოვლენის მიზნით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობასთან შეხვედრები 29 იანვარს დაიწყო.

საერთო კრებები ზემო ქედში, არხილოსკალოსა და ქვემო ქედში, ასევე ზემო მაჩხაანში, მირზაანსა და არბოშიკში უკვე ჩატარდა, სადაც მოსახლეობას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან და მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან ერთად შეხვდა.

ინგა შიოლაშვილი

C M Y K

„ვამაყობ ჩემი წარმატებული წლებით“

„ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრებიდან, შეგიძლიათ გადახედოთ გვარებს და მათ მოღვაწეობას, ყველაზე მეტ ხანს, 5 წელი ვიყავი მე პრემიერ-მინისტრი. 11 წლიდან 5 წელი ვიყავი მე - ვამაყობ ჩემი წარმატებული წლებით, - ამის შესახებ ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა და „ქართული ოცნების“ ახლად არჩეულმა თავმჯდომარემ, ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, გადადგომის მიზეზებთან დაკავშირებით ყველაფერი განმარტა.

„რაც შეეხება გადადგომის მიზეზებს, იცით, რომ ყველაფერი განვმარტე, ახალს ვერაფერს გეტყვით. ძალიან მარტივად გეტყვით, ჩვენ გუნდში არის დამკვიდრებული ასეთი პრაქტიკა და ეს არის აბსოლუტური შიდა დემოკრატია. ყველაზე მეტ ხანს „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრებიდან, შეგიძლიათ გადახედოთ გვარებს და მათ მოღვაწეობას, ყველაზე მეტ ხანს, 5 წელი ვიყავი მე პრემიერ-მინისტრი. 11 წლიდან 5 წელი ვიყავი მე. გუნდში დამკვიდრებული დემოკრატიული პროცესის და იმ პრაქტიკის გათვალისწინებით, რომელიც ჩვენ დავნერგეთ „ქართულ ოცნებაში“, რომ აუცილებელია გუნდის სხვა წარმატებულ ლიდერებს მიეცეთ საშუალება, რომ მათაც გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები“, -განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მან უპასუხა ჟურნალისტის კითხვას, თავად მიიღო თუ არა პრემიერ-მინისტრობიდან გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება.

„თავიდანვე გეგმაც ასეთი იყო და მე საზოგადოებას უკვე განვუმარტე, რომ ორი არჩევანი არსებობდა. ერთი, გუნდმა შემომთავაზა, რომ დავრჩენილიყავი ზაფხულამდე და შემდეგ მომხდარიყო[თანამდებობიდან წასვლა]. მე პირველი ვარჩიე, ანუ ახლავე გადადგომა. რა თქმა უნდა, საჭიროა მეტი დრო დავუთმო მე, ერთის მხრივ, პარტიას და ირაკლი კობახიძემ მთავრობას და მთავრობის მუშაობას.

ვიმეორებ, რომ ჩემ გამოსვლაში ახალს ვერ გეტყვით და არ გეტყვით. გითხარით, რომ მქონდა კონსულტაციები პოლიტსაბჭოსთან. ვამაყობ ჩემი წარმატებული წლებით. ამჯერად პარტიას უნდა მოვახმარო ჩემი გამოცდილება“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

ევროკავშირის ექსპერტები დედოფლისწყაროში

საქართველო-აზერბაიჯანის პროექტის „ტრანსსასაზღვრო რისკების შეფასება და სამოქმედო გეგმის შემუშავება საქართველოსა და აზერბაიჯანში - SAILOR” ფარგლებში, საქართველოს ევროკავშირის ექსპერტთა ჯგუფი ეწვია.

პროექტის ფარგლებში საქართველოში დაგეგმილია სწავლებები ტრანსსასაზღვრო რისკების შეფასების და მათზე რეაგირების კუთხით თანამშრომლობის განვითარებისთვის.

დელეგაციის წარმომადგენლებმა მორიგი შეხვედრა გამართეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში, სადაც მათ მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს დედოფლისწყაროში განსახორციელებელი საპილოტე პროგრამის დეტალები გააცნეს.

აღნიშნული პროექტი ტყის ხანძრების პრევენციას, ამ მიზნით რისკების შეფასებას და საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას გულისხმობს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს გააჩნია განვითარების საშუალო ვადიანი გეგმა, რომელშიც გარემოს დაცვას მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია. ევროკავშირის მიერ დაწყებული პროგრამა კი ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს უფრო ეფექტურს გახდის. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის საგრანტო პროგრამის ფარგლებში.

პარლამენტის ბიუროს მთავრობის ახალი შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა – „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ წარედგინა

პარლამენტის ბიუროს მთავრობის ახალი შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა - „ევროპული სახელმწფოს მშენებლობისთვის“, განხილვისთვის წარედგინა - ამასთან, ბიურომ პლენარული სესიის პირველ სხდომაზე, 6 თებერვალს, პრეზიდენტის ბოლო ანგარიშის მოსმენა დღის წესრიგში დაამტკიცა.

მთავრობის ახალი შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისთვის ნდობის გამოცხადების პროცესი ჯერ პარლამენტის კომიტეტებზე, ფრაქციებისა და პოლიტიკური ჯგუფის სხდომებზე, შემდეგ კი პლენარულ სესიაზე წარიმართება.

როგორც პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, სამთავრობო გუნდში მხოლოდ თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე შეიცვლება. ამ პოსტზე ირაკლი ჩიქოვანის კანდიდატურაა წარდგენილი.

ცნობისთვის, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გადადგომის შესახებ 29 იანვარს განაცხადა, რის შემდეგაც მას უფლებამოსილება შეუწყდა, ყველა მინისტრი კი მოვალეობას ასრულებს.

საკრებულოს ოპოზიციურ ფრაქციაში თავმჯდომარის მოადგილე შეიცვალა

სოსო გოგაშვილის „სახალხო პარტიის“ წევრმა შალვა ბატიაშვილმა, რომელიც დედოფლისწყაროს საკრებულოში ერთადერთი ოპოზიციური ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე იყო თანამდებობა დატოვა. მის თანამდებობას ამიერიდან ნაციონალური მოძრაობის სიის მესამე ნომერი ნატალია ქადაგიძე დაიკავებს.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია“ თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი ამბობს, რომ მისი მოადგილე ძირითადად დედაქალაქში იმყოფება, იქაა დასაქმებული და ამიტომ მიიღო გადაწყვეტილება თანამდებობა საკუთარი სურვილით დაეტოვებინა.

ამჯერად ბატიაშვილმა თანამდებობა დატოვა, თუმცა საკრებულო არა, დეპუტატის მანდატს კვლავ ინარჩუნებს და ფრაქციის წევრადაც რჩება.

შალვა ბატიაშვილი: „სამშენებლო კომპანიაში დავიწყე მუშაობა, ამიტომ თბილისიდან დედოფლისწყაროში ჩამოსვლას ვეღარ ვახერხებ ხოლმე. თანაც, მე ვფიქრობ, რომ ფრაქციის თავმჯდომარეს სამუშაო პროცესში უკეთესად მიეხმარება ახალი მოადგილე, რომელიც მისივე პარტიის წევრია. დეპუტატის მანდატი არ დამიტოვებია, ფრაქციის წევრად დავრჩები და 700 ლარიანი ანაზღაურება დამრჩება. “

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია“ თავმჯდომარის მოადგილის შეცვლის თაობაზე დეპუტატებმა 24 იანვრის სხდომაზე ცნობად მიიღეს.

2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების შედეგების თანახმად სოსო გოგაშვილის „სახალხო პარტია“ დედოფლისწყაროს საკრებულოში მხოლოდ 1 წევრითაა წარმოდგენილი. ერთწლიანი ინდივიდუალური მუშაობის შემდეგ შალვა ბატიაშვილი ნაციონალური მოძრაობის სხვა დეპუტატებთან გაერთიანდა და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა მიიღო, რაც სხვა დამატებით შესაძლებლობებსაც იძლევა და ერთ-ერთი მაღალანაზღაურებადი თანამდებობაა. მისი თანამდებობრივი სარგო 2 128 ლარია. ოპოზიციური ერთობა დედოფლისწყაროში 2022 წლის ნოემბერში შედგა.

აზერბაიჯანმა დედოფლისწყაროს კიდევ 16 ქურციკი გადასცა

საქართველოს აზერბაიჯანის მთავრობისგან 16 ინდივიდი ქურციკი გადმოეცა. ქურციკები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების დაცულ ტერიტორიაზე გაუშვეს. აღნიშნული ღონისძიება საქართველოში ქურციკების სრულფასოვანი აღდგენისთვის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. ეს პირველი შემთხვევა არ არის, გასულ წლებში მსგავსი პროექტი რამდენჯერმე განხორციელდა.

ქურციკის აღდგენის პროგრამა საქართველოში 2013 წლიდან ხორციელდება. ქურციკი, იგივე ჯეირანი, საქართველოში გასული საუკუნის 60-იან წლებში გადაშენდა. აღნიშნული პროგრამა ერთ-ერთი წარმატებული კონსერვაციული პროექტია და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოპულაციის აღდგენას.

პროგრამა ხორციელდება საქართველოს მთავრობისა და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (**WWF**) კავკასიის პროგრამის ოფისის მჭიდრო თანამშრომლობითა და აზერბაიჯანის მთავრობის აქტიური მხარდაჭერით. საქართველოში ქურციკის აღდგენის პროგრამის განხორციელება გერმანიის მთავრობის (BMZ/KfW) ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო. პროგრამის მიმდინარე ფაზის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს **WWF**-გერმანია და **WWF**-ავსტრია.

ქურციკის აღდგენის პროგრამა წარმატებით ხორციელდება და ამჟამად, სამუხის ველზე მათი რაოდენობა 300 ინდივიდს აღემატება.

ქურციკების გადმოცემის ღონისძიებას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის უფროსი კარლო ამირგულაშვილი, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე დავით იოსებაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე თომა დეკანოიძე, და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (**WWF**) კავკასიის პროგრამის ოფისის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ.

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე საჯარო სკოლებში აღინიშნა

2 თებერვალი წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეა! შესაბამისად,ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღე განსაკუთრებულად აღინიშნა. „იკითხე ხმამაღლა,შეცვალე მსოფლიო!“-წიგნიერების დღესასწაულის გზავნილს მოსწავლე-მასწავლებლები ხალისით შეუერთდნენ სამოქალაქო კლუბისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით განხორციელებულ აქტივობას და სასკოლო საზოგადოებას წიგნის კითხვისკენ მოუწოდეს. მე-3-მე-11კლასის ჩათვლით მოსწავლეებმა წაიკითხეს სხვადასხვა ჟანრისა და ავტორის თხზულებები და ლექსები. როგორც სკოლაში აღნიშნავენ,ქართველთათვის "მეორე სახარებად" წოდებული ვეფხისტყაოსნის სწავლებას ოდითგანვე უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოსწავლეთა სულიერი ფორმირების თვალსაზრისით. ამიტომ შეირჩა აფორიზმები, რომლებიც მოსწავლეებმა წაიკითხეს, ბოლოს იმსჯელეს და გაიცნობიერეს მასში ჩადებული სიბრძნე. ასევე ესტუმრნენ საჯარო ბიბლიოთეკას, დაათვალიერეს სამკითხველო დარბაზი,წაიკითხეს ლექსები და ჩასწვდნენ იმ აზრს,თუ რამდენად მნიშვნელოვანია წიგნი ადამიანისთვის.

მარიკა პოპიაშვილი

მირზაანის სკოლის ახალი სიცოცხლე

მირზაანის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია დასრულდა. მოსწავლეებსა და მათ პედაგოგებს განახლებულ სკოლაში ახალი სემესტრის დაწყება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან, მაკა ჯანაშვილთან ერთად მიულოცა და წარმატებული სასწავლო პროცესი უსურვა. ისინი განახლებულ სასწავლო სივრცეს ადგილზე გაეცნენ.

სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად განახორციელა. სამუშაოების ღირებულებამ 147 539 ლარი შეადგინა.

მირზაანის სკოლის ძირძველი პედაგოგები წარსულს იხსენებენ და ამბობენ, რომ ახლა შენობაში ყველაზე საუკეთესო გარემოა შექმნილი.

ნაირა ყოჩიაშვილი ***(მირზაანის სკოლის პედაგოგი):*** „1995 წლიდან ვმუშაობ ამ შენობაში და ასეთი კარგი პირობები აქ არასოდეს ყოფილა. წარმოიდგინეთ, დღემდე შეშის ღუმელზე ვიყავით, ქარი რომ დაუბერავდა, საკლასო ოთახებში კვამლი დგებოდა და სასწავლო პროცესის წარმართვა ჭირდა. ამას გარდა ღუმელი კარგად ვერ ათბობდა და დისკომფორტი იქმნებოდა. ამას გარდა, შენობაში მეორე სართულზე ასასვლელი ხის კიბე გვქონდა, რომელიც დროთა განმავლობაში ძალიან დაძველდა და უსაფრთხო აღარ იყო. ამიტომაც ვითხოვდით შენობის რეაბილიტაციას, რომ ადამიანური პირობები გვქონოდა და საფრთხისშემცველი გარემო არ ყოფილიყო არც ბავშვებისთვის და არც პედაგოგებისთვის. ახლა კი რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. პირველად მოეწყო ცენტრალური გათბობა და ახალი კიბე. კომფორტულად მუშაობის ხიბლი მხოლოდ ახლა შევიგრძენით. იატაკიც ახალი დაიგო, გამოიცვალა ავეჯი როგორც სამასწავლებლოში, ისე კლასებში. ახალი მერხები გვაქვს. ჭერი წინა წლებში შეიცვალა, ასევე რამდენიმე წლის გამოცვლილი იყო მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები. მირზაანის სკოლაში ამჟამად 30 მოსწავლეა და სულ 5 კლასი მოქმედებს. ძირითადად კლასკომპლექტებია, რაც მოსწავლეების არასაკმარისი რაოდენობის გამო კლასების გაერთიანებას გულისხმობს. პირველი და მეორე კლასებია გაერთიანებული, ჩემი კლასია III-IV, ასევე გაერთიანებულია V-VI კლასი, ხოლო IX და X კლასები დამოუკიდებლად მოქმედებს. ზოგადად, მირზაანში სკოლის აღდგენამ ძალიან გამოაცოცხლა და გადაარჩინა ჩვენი სოფელი. ვისაც გინდა ჰკითხოთ, ამას ყველა აღნიშნავს.

თამილა ოზგეთელაშვილი ***(მირზაანის სკოლის პედაგოგი):*** „1993 წლიდან ამ სკოლაში ვარ, მე რომ მოვედი მაშინ საშუალო სკოლის სტატუსი ჰქონდა და დირექტორი ამირან ბოსტოღანაშვილი იყო. მერე სკოლა გააუქმეს, ზემო მაჩხაანის სკოლას შეუერთეს. მოსწავლეების და თანამშრომლების ნაწილმა სოფელი დატოვა და დედაქალაქს მიაშურა. შემდეგ სკოლა რომ აღდგა, ბევრი შემოატრიალა მირზაანისკენ. ძალიან გულსატკენია მიგრაციის პრობლემა. მახსოვს, 100-ზე მეტი ბავშვი იყო ხოლმე და საშუალო სკოლის სტატუსი გვქონდა. მაგრამ, უნდა ვაღიარო, ახლა ბევრად უფრო უკეთესი ინფრასტუქტურა მოგვიწყეს... წლების ნანატრი ოცნება აგვიხდა და მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. შედარებაც არ შეიძლება შეშის ღუმელიდან გადავედით საოცარ კომფორტში. რა თქმა უნდა ეს პირობები სასიამოვნოა მოსწავლეებისთვისაც და პედაგოგებისთვისაც. ზოგჯერ არც კი გვჯერა, იმდენად კარგ გარემოში გვიწევს მუშაობა. ნიკოლოზ ჯანიაშვილი რომ გვესტუმრა, X კლასში მქონდა გაკვეთილი და ბავშვებისთვის მოულოდნელი იყო მერის მხრიდან ასე უშუალო და თბილი დამოკიდებულება. მას ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება და განსხვავებული მიდგომა აქვს ადამიანების მიმართ. მანამდეც ხშირად ვაყენებდით სხვადასხვა პრობლემურ საკითხებს, მაგრამ ამ დრომდე ვერ მოგვარდა. მესერიც არ გვქონდა და საქონელი გვაწუხებდა, ეზოს შემოღობვაც რამდენიმე წლის წინ მოხერხდა. მირზაანი მსოფლიოში ცნობილი სოფელია და მას მეტი ყურადღება სჭირდება. ბოლო დროს მართლაც ბევრი რამ გაკეთდა, იმედი მაქვს, ხელისუფლების მხარდაჭერა სამომავლოდაც გაგრძელდება. გზებიც მთლიანად გაკეთდა, გარე განათებაც, ტურიზმის განვითარებისთვის ნაბიჯები გადაიდგა. კომუნისტების პერიოდშიც არ იყო ასეთი კარგი გზები.

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

ტელეგადაცემების ხარისხი გაუმჯობესდა

სოფელ არბოშიკში ახალი სატელევიზიო ანძა აშენდა, რომელიც არბოშიკსა და ოზაანს გაუმჯობესებულ ტელეგადაცემებს მიაწვდის. ანძა კერძო სატელევიზიო კომპანია „სტერეო+“-მა ააგო, რომელიც კერძო ქართული ტელეკომპანიების ტრანსლაციას უზრუნველყოფს. მდებარობისა და რელიეფის გამო ეს ზონა სიხშირული სიგნალების გავრცელების კუთხით ყოველთვის პრობლემური იყო.

მას შემდეგ, რაც 2015 წლიდან საქართველო ციფრული სატელევიზიო მაუწყებლობის რეჟიმზე გადავიდა, ამოჩნდა, რომ დედოფლისწყაროს სატელევიზიო ანძაზე დამონტაჟებული გადაცემები არბოშიკს სიგნალს ვერ მიაწვდიდა, რის გამოც ამ სოფლისთვის ადგილზე სხვა გადამცემი მოწყობილობები დამონტაჟდა. თუმცა, ამ წლების განმავლობაში სიგნალი სუსტი იყო და მოსახლეობას ტელეგადაცემები მაინც ხარვეზებით მიეწოდებოდა.

კომპანია „სტერეო+“ „შირაქთან“ საუბრისას განმარტავს, რომ არბოშიკი სპეციფიური რელიეფის გამო მუდმივად ე.წ. ჩრდილოვან ზონაში შედის, ასეთ დასახლებებში კი კომპანია ცდილობს დამატებითი ანძების დადგმას.

„ქალაქ დედოფლისწყაროს სატელევიზიო ანძა თითქმის ყველა სოფლის დაფარვას უზრუნველყოფს, რადგან ის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი და მძლავრი ნაგებობაა. თუმცა, არბოშიკი დაიჩრდილა და გადაწყდა კიდევ ერთი ანძა განთავსებულიყო“.

„აქამდე ჯეოსელის ანძას იყენებდა, ახლა კი „სტერეო+“-მა დამოუკიდებელი, საკუთარი ანძა დადგა. გადამცემი კვირიკეს გორაზე დამონტაჟდა. ხოლო ობელისკის გორაზე დგას სახელმწიფო ტელე-ცენტრის გადამცემი ანძა, რომელიც 1972 წლიდან მოქმედებს. რამდენიმე წლის წინ ეს გადამცემიც გარემონტდა და საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემებს კარგი ხარისხით ავრცელებს. კერძო ტელეარხები კი ხარვეზებით მოგვეწოდებოდა და მოსახლეობის მხრიდან მუდმივად იყო მოთხოვნა, რომ შეფერხება აღმოფხვრილიყო. ყველას არ აქვს სატელიტური თეფში, ან ინტერნეტი, ამიტომ ძირითადად უფასო სიგნალით სარგებლობენ. ამ პაკეტში შედის სპორტული არხებიც, სადაც სხვადასხვა ჩემპიონატები გადაიცემა და ესეც ინტერესს იწვევს. ჩამოვიდნენ კომპანიის სპეციალისტები, შეისწავლეს პრობლემა, გაზომეს სიგნალის მონაცემები და გადაწყდა, რომ ახალი ანძა აეშენებინათ. ახალი გადამცემი მეზობელი სოფლის, ოზაანის ნახევარსაც ფარავს, რაც გადაცემების ხარისხს ოზაანშიც გააუმჯობესებს,“- ამბობს სოფელ არბოშიკში მერის რწმუნებული მურად ელაშვილი.

წყლის ახალი რესურსი არბოშიკში

სოფელ არბოშიკში წყლის დამატებითი რესურსია აღმოჩენილი, რაც ხელს შეუწყობს სოფელში წყალმომარაგების პრობლემის აღმოფხვრას. სულ ახლახან დამატებითი ჭაბურღილების მშენებლობა დაიწყო, სპეციალისტების პროგნოზი გამართლდა. მიუხედავად იმისა, რომ ბურღვითი სამუშაოები ჯერ არ დასრულებულა, სოფელში უკვე ამბობენ, რომ ახალი წერტილებიდან საკმარისი წყლის მოძიება მოხერხდა. პროექტის თანახმად, ახლადმოძიებული წყლის მარაგი ცენტრალურ რეზერვუარში გადაიტუმბება და მოსახლეობაზე განაწილდება. არის მოლოდინი, რომ წყლის მიწოდების გრაფიკი წარსულს ჩაბარდება და ავზი ადგილობრივების მოთხოვნას ზაფხულის ცხელ დღეებშიც სრულად დააკმაყოფილებს. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, სამუშაოებს კომპანია „ჰიდროგეო“ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მეთვალყურეობით ახორციელებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი ***სოლომონ ღორაშვილი*** გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ არბოშიკში ბურღვით სამუშაოებს „ჰიდროგეო“ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დაკვეთით ახორციელებს და ეს დედოფლისწყაროში მიმდინარე წყლის რეაბილიტაციის ერთ-ერთი მიმართულებაა.

მიმდინარე სამუშაოებით კმაყოფილია და მომავალს ოპტიმისტურად უყურებს სოფელ არბოშიკში მერის რწმუნებული მურად ელაშვილი. ის „შირაქთან“ საუბრისას განმარტავს, რომ გამართლდა მოლოდინი, რაც ჭაბურღილების გათხრამდე სპეციალისტების მიერ არსებობდა.

მურად ელაშვილი ***(მერის რწმუნებული სოფელ არბოშიკში):*** „სულ ოთხი ახალი ჭაბურღილი უნდა მოეწყოს, უკვე ერთი თვეა სამუშაოები მიმდინარეობს, დაახლოებით 120 მეტრი სიღრმეზე ჩადიან. ამისათვის შესაბამისი სპეციალისტების მიერ სხვადასხვა ლოკაცია შეირჩა. სამი ჭაბურღილი უკვე გაკეთდა და საკმარისი წყალი ამოვიდა. ამ ნაბიჯით შევძლებთ, გრაფიკი წარსულს ჩავაბაროთ და 24 საათიანი წყალმომარაგება გვქონდეს, მათ შორის ზაფხულის სეზონზე, გაზრდილი მოთხოვნის და სტუმრიანობის პირობებშიც.

დაახლოებით 6-7 წლის წინ გაკეთებული ჭაბურღილები გვქონდა, რასაც აქამდე ვიყენებდით. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, საკმარისი არ იყო და წყალმომარაგებაში ხარვეზები გვქონდა, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში. ისმოდა პრეტენზიებიც, რადგან ზაფხულში მოხმარებაც იზრდება და გაცილებით მეტი ადამიანია სოფელში ჩამოსული. როგორც ჩემთვისაა ცნობილი, ამჯერად სამუშაოების მწარმოებელმა კომპანია „ჰიდროგეომ“ შედარებით განიერი დიამეტრის ჭაბურღილები გათხარა და უფრო მეტ რესურსს მივიღებთ. რამდენიმე წელია ახალი რეზერვუარი გვაქვს. მისი ტევადობა 500 ტონაა, სწორედ აქ მოიყრის თავს ძველი და ახლადმოპოვებული რესურსი და ეს გვაძლევს იმის იმედს, რომ ზაფხულის სეზონზე უწყლოობის პრობლემა აღარ შეგვანუხებს და შევძლებთ უწყვეტი წყალმომარაგება გვქონდეს. დაიფინება ქსელი და მთავარი ავზი შეივსება. სპეციალისტები ადგილზე არიან და სამუშაოები კვლავაც მიმდინარეობს“.

გვერდი მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

კვლავ მშობლიურ კუთხეში ხალხური სიმღერის ქომაგად

უნიკალური ქართული ხალხური სიმღერისა და ქართული გალობის გადარჩენის, მოვლისა და პოპულარიზაციის მიზნით, უკვე ათი წელია დედოფლისწყაროში ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ხალხური სიმღერისა და ქართული გალობის სკოლა დაარსდა.

2014 წლიდან საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის მუნიციპალიტეტსა თუ თვითმმართველ ქალაქში სალოტბარო ცენტრების გახსნა ეტაპობრივად დაიწყო. ჩვენი სკოლის ბალანსზე ამ წლების განმავლობაში სხვადასხვა დროს მოპოვებული უამრავი ოქროს და ვერცხლის მედლებია, მათ შორისაა ბათუმის საერთაშორისო ფესტივალზე მოპოვებული ისტორიული გრან-პრი. აგრეთვე, მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, განათლება უფასოდ მიიღონ თბილისის გიორგი მთაწმინდელის სახელობის ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში. გარდა ამისა, ახალგაზრდებს შეუძლიათ, ჩაერთონ სხვადასხვა ფესტივალსა და ღონისძიებაში, რაც საგრძნობლად გამოაცოცხლებს რეგიონის კულტურულ და ტურისტულ ცხოვრებას. მათი საქმიანობის ძირითადი მიზანია: - მომავალი თაობისათვის სწავლება, ადგილობრივი კადრებისა და სპეციალისტების აღზრდა, ქართულ ფოლკლორში კუთხურობის შენარჩუნება და დამკვიდრება, აგრეთვე, ეთნოფორებთან მუშაობა, ფოლკლორული მასალების მოძიება-ჩაწერა-დაფიქსირება, არქივის შექმნა და ბაზის გამდიდრება.

სწორედ ქართული სიმღერების შემსრულებელი ახალგაზრდა თაობა არის ხვალინდელი დღის, ჩვენი ქვეყნის ჯანსაღი მომავლის ნიშანი და იმედი, რადგან ხალხურ სიმღერაში, როგორც „ქართლის ცხოვრებაში“, ისე იკითხება ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორია და ტრადიციები.

ქართული სიმღერა არის ქართველი ხალხის სავიზიტო ბარათი, მისი მეობისა და არსებობის ნიშანი.

სულ ცოტა ხნის წინ ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის სკოლის პედაგოგიურ გუნდს-ჯერ ამავე სკოლის და შემდეგ გიორგი მთაწმინდელის უმაღლესი სასწავლებლის მეორე კურსდამთავრებული, **ბაჩო ალულიშვილი** შემოუერთდა. რედაქცია ამ სიახლეს ბაჩოსთან ინტერვიუთი შეხვდა.

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები:

– ვარ დედოფლისწყაროს მცხოვრები. 2018 წელს დავამთავრე საშუალო სკოლა და ამჟამად ვასწავლი ქართულ ხალხურ სიმღერას, ასევე ვმღერი ანსამბლ „ხორნაბუჯში“.

– როდის აღმოაჩინე ფოლკლორისადმი ნიჭი და მიდრეკილება?

–ჩემი ნიჭი თავდაპირველად აღმოაჩინეს მშობლებმა და მიმიყვანეს დალი ელისაშვილთან ანსამბლ „ქიზიყში“, სადაც ჩამომიყალიბდა ამ საქმისადმი სიყვარული, რასაც დღემდე ვაგრძელებ.

-რას ნიშნავს შენთვის ხალხური სიმღერა?

-ხალხური სიმღერა ჩემთვის დაკავშირებულია საქართველოს წარსულთან და ჩვენს წინაპრებთან, რაც უფრო საპასუხისმგებლოს ხდის ჩემთვის ამ საქმეს.

- გიორგი მთაწმინდელის სახ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობას აგრძელებ მშობლიურ რაიონში, რამდენად საპასუხისმგებლოა ეს შენთვის?

-უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ვაგრძელებ მშობლიურ რაიონში საყვარელი საქმის კეთებას. ეს ჩემთვის ძალიან საპასუხისმგებლოა, რადგან ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაცია ისედაც შემცირებულია და ვალდებულებაც კი არის ეს ჩემთვის, რომ ჩემი წვლილი შევიტანო მის პოპულარიზაციაში.

-რას გვეტყვით თქვენი ახლად წამოწყებული საქმიანობის შესახებ, ზოგადად ბავშვებზე...

-ჩემს საქმეზე შემიძლია ვთქვა, რომ არის ძალიან სახალისო და რაც შეეხებათ ბავშვებს, არიან საკმაოდ ნიჭიერი ბავშვები და მათ სჭირდებათ მხოლოდ მიმართულების მიცემა, რასაც ვცდილობ დიდი ძალებით.

- როგორია შენი სამომავლო გეგმები, როგორც აღნიშნე, ადგილობრივ ანსამბლ „ხორნაბუჯშიც“ მღერი, კიდევ რას აპირებ ფოლკლორული ცხოვრების გზით რაიონს შესძინო?

-გეგმაში მაქვს ბავშვების ჩამოყალიბება პროფესიონალ მომღერლებად და შემსრულებლებად, ასევე, თუ მოგვეცემა საშუალება, კონკურსებში წარმოვაჩინოთ თავი, აუცილებლად წარმოვაჩენთ, თანაც მაღალ დონეზე.

- როგორც ახლადფეხშედგმული ხალხური სიმღერის სამყაროში და პედაგოგიურ საქმიანობაში, ხომ არაფერი გაქვთ სათქმელი ბავშვებისთვის, მშობლებისთვის, ფოლკლორის მოყვარულთათვის?

-მინდა მოვუწოდო ბავშვებსაც და მშობლებსაც, რომ გადახედონ ჩვენს ისტორიას, მათ ხელშია ქართული ხალხური სიმღერის ბედი და მომავალი, მაგრამ ეს გადაწყვეტილება თუ იქნება ხალხური სიმღერის გვერდში დგომა, ეს უნდა მოხდეს ნებაყოფლობით და არა მოვალეობის გამო. ამ საქმეს დიდი თავდადება სჭირდება. ეს სფერო გარკვეულწილად დაუფასებელიც კი არის და სწორედ ამიტომ, სჭირდება დიდი სიყვარული, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე არ გაკეთდება.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, წარმატებები გისურვოთ ახლადდაწყებულ პროფესიულ კარიერაში, გიცხადებთ მზადყოფნას თითოეულ ახალგაზრდა კადრს მუნიციპალიტეტისთვის სასარგებლო საქმიანობაში.

ესაუბრა
ელზა ხარაშვილი

წლის საუკეთესო თარგმანი გამოვლინდა

მწერალთა სახლში ლიტერატურული კონკურსის - „მუზა“ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დაფუძნებული ლიტერატურული კონკურსის, „მუზა“, გამარჯვებულები გამოვლინდნენ. პრემიის მოსაპოვებლად 82 კონკურსანტი იბრძოდა.

ლაურეატთა დაჯილდოების ცერემონია საქართველოს მწერალთა სახლში გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, მწერალთა სახლის დირექტორი ქეთევან დუმბაძე, საქართველოს წარმომადგენელი ევროსაბჭოში, თამარ ტალიაშვილი, ლიტერატურული სფეროს წარმომადგენლები და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ნომინაციაში - **„წლის საუკეთესო თარგმანი“** პრემია გადაეცა დედოფლისწყაროელ პოეტსა და მთარგმნელს **ირმა შიოლაშვილს,** რაინერ მარია რილკეს 50 ლექსის თარგმანისათვის- „საღამო არის ჩემი წიგნი“. წიგნი გამომცემლობა „პალიტრა L” გამოსცა. ამ პატარა კრებულში მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ავსტრიელი პოეტის რაინერ მარია რილკეს 50 ლექსია შესული. რილკეს შემოქმედებას წლების განმავლობაში დიდი სიფრთხილითა და დაფიქრებით თარგმნიდა პოეტი ირმა შიოლაშვილი. საბოლოოდ, ამ თარგმანებმა ერთად მოიყარა თავი კრებულში, რომელიც, გერმანისტის, ლიტერატორისა და ჟიურის წევრის ლია ვიტეკის შეფასებით, „დიდი ცოდნის, გერმანული და ქართული პოეტური ტრადიციების უფაქიზეს ნიუანსებში წვდომისა და დიდი სულიერი თანაზიარობის შედეგია. ირმა შიოლაშვილი კარგად ჩასწვდა რილკეს პოეზიის ფესვებსა და რელიგიურ თავისებურებებს და თარგმანები სხვა, გაცილებით მაღალ საფეხურზე აიყვანა“.

გამარჯვებულები გამოვლინდნენ ასევე ნომინაციებში:

1. წლის საუკეთესო რომანი -ლევან ბერიძე, „როგორც შენ იტყვი“.

2. წლის საუკეთესო პროზაული კრებული - კახაბერ მელითაური, „ოთხი მოთხრობა“.

3. წლის საუკეთესო პოეტური კრებული - მანანა ჩიტიშვილი, „რჩეული“.

4. წლის საუკეთესო დოკუმენტური პროზა/ესე - კონსტანტინე გამსახურდია, „სამშობლოსა და ერი-სახელმწიფოსთვის - ზვიად გამსახურდიას ბიოგრაფიული პორტრეტი“.

5. წლის საუკეთესო დებიუტი - ლუკა ყაულაშვილი, „შენთვის და შენზე“; კონსტანტინე ჭანკოტაძე, „ილუზიური რეალობა“.

7. წლის საუკეთესო კრიტიკა/რეცენზია - თამარ გელიტაშვილი, „მხატვრული ქმნილების პირისპირ“.

8. წლის საუკეთესო პიესა/ინსცენირება - კობა ცხაკაია, „სამი პიესა სხვადასხვა ამბავზე“.

9. ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილი - თემურ ჩალაბაშვილი.

ნომინაციებში - „წიგნის საუკეთესო დიზაინი“ და „წლის საუკეთესო ინოვაციური ლიტერატურული პროექტი“ - გამარჯვებულები არ გამოვლინდნენ.

გამარჯვებულებს გადაეცათ მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის „მუზის“ მიხედვით შექმნილი პრიზი და ფულადი ჯილდო - 5000 ლარი.

დაჯილდოების ცერემონიისთვის მომზადდა ვიდეორგოლი, რომლისთვისაც მუსიკა შექმნა კომპოზიტორმა ზაზა მარჯანიშვილმა. მიწვეულმა სტუმრებმა ცერემონიის დაწყებამდე მოუსმინეს გიტარისტ გიორგი ფხალაძის მიერ შესრულებულ ნაწარმოებებს. ღონისძიების მიმდინარეობისას მაყურებლის წინაშე წარდგნენ დინი ვირსალაძე, გიორგი მელიქიშვილი და დავით ჯაფარიძე.

ორი საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია იწყება

ქალაქ დედოფლისწყაროს №2 და სოფელ ზემო ქედის №1 საბავშვო ბაღის შენობების სრული რეაბილიტაცია წელს იგეგმება. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა განუცხადა. მისივე თქმით, უკვე დასრულებულია სოფელ სამრეკლოს ძველი შენობის დემონტაჟი და უახლოეს დღეებში დაიწყება მშენებლობა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „სოფელ სამრეკლოში საბავშო ბაღის შენობა სიძველის გამო სრულად დავშალეთ და თებერვლის პირველ ნახევარში უკვე დაიწყება ახალი შენობის მშენებლობა. ამას გარდა, მიმდინარე წელს კიდევ ორი საბავშვო ბაღის ძირეული რეაბილიტაცია იგეგმება. ესაა დედოფლისწყაროს ყველაზე დიდი საბავშვო ბაღი (8 ჯგუფით), ქალაქის ცენტრში, პოლიკლინიკასთან არსებული №2 საბავშვო ბაღი და ასევე ზემო ქედის №1 ბაღი. ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისი სივრცე უნდა შევქმნათ. მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ რეაბილიტაციის პროცესი ზაფხულის სეზონზე, არდადეგების პერიოდში დავიწყოთ, მაგრამ დამეთანხმებით ძირეული რეაბილიტაცია რამდენიმე თვეში ვერ მოესწრება... ზემო ქედში მეორე ბაღიც გვაქვს და დროებით იქ გადანაწილდებიან. სამომავლოდ ამას მიჰყვება ქვემო ქედის საბავშვო ბაღიც, რომლის შენობაც არანაირ სტანდარტებს არ შეესაბამება. ამაზე უკვე ვმუშაობთ, რომ ახალი საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია დროულად დასრულდეს. ვცდილობთ, ასე ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარდეს სკოლამდელი დაწესებულებების ინფრასტრუქტურა და ჩვენი შვილებისთვის უსაფრთხო და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღები გვქონდეს ყველა სოფელში.

როგორც გაზეთ „შირაქს“ სოფელ ზემო ქედში უყვებიან, 2013 წელს ზემო ქედის №1 ბაღის რეაბილიტაცია მოხდა, თუმცა, შენობის მეორე სართული კვლავაც ძველი და უფუნქციოა. კულტურის სახლის გვერდით მდებარე ე.წ. „კანტორის“ შენობაში საბავშვო ბაღი რამდენიმე ათეული წლის წინ შეასახლეს, მანამდე ნაქირავებ ფართში ფუნქციონირებდა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი, პირველი სართული თანამედროვე სტანდარტებით მოეწყო. ამ ხნის მანძილზე იგეგმებოდა მეორე სართულის ათვისებაც, მაგრამ ამ დრომდე ვერ მოხერხდა.

მარიკა ნიკლაური ***(ზემო ქედის №1 საბავშვო ბაღის გამგე):*** „ხუთი წელია ამ საბავშვო ბაღს ვხელმძღვანელობ. ამ ხნის მანძილზე გაკეთდა ცენტრალური გათბობა, ბავშვთა საპირფარეშოები მოწესრიგდა. ეს იყო მიტოვებული „კანტორის“ შენობა, ამიტომ გარკვეულმა ხარვეზებმა იჩინა თავი. ერთი ფლიგელი ძირითად შენობაზე ათეულობით წლის წინაა მიშენებული და ამის გამო კედლები დაბზარულია. დროთა განმავლობაში შენობამ ამორტიზაცია განიცადა. ყველა ოთახში არ არის იატაკი შეცვლილი, სადაც შეცვლილია, იქაც დეფორმაცია განიცადა, რადგან ძველი კოჭები აქვს და მოირყა. ამას გარდა, მოძველებულია ელექტროგაყვანილობაც, ხშირად გვაქვს ე.წ. „მოკლე ჩართვა“ და ხარვეზები. მეორე სართული მთლიანად გამოუყენებელია და მტვრის ბუდედაა ქცეული. შენობაში წყალი არ ჩამოგვდის, მაგრამ სანიაღვრე არხებისა და მილების პრობლემაა მოსაგვარებელი და ეზოც მოსაპირკეთებელია. ამჟამად ჩვენთან 24 აღსაზრდელია, ისინი ორ ჯგუფადაა დაყოფილი. 4 წლამდელები და უფროსი ასაკის ბავშვები. ყველგან გვაქვს ცხელი წყალი, სამზარეულოც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისადაა მოწყობილი და სამფაზიან ელექტრო ქურებზე მზადდება საკვები. ბოლო წლებში მართლაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხელშეწყობა, მაგრამ ამის მიუხედავად ხშირად ვითხოვდით შენობის რეაბილიტაციას. ჩამოვიდნენ, შეამოწმეს და როგორც ჩანს, საჭიროდ ჩათვალეს, რომ ამ ბაღის საფუძვლიანი რეაბილიტაცია აუცილებელია. ჯერ არ ვიცი, მეორე საბავშვო ბაღში შეგვასახლებენ, თუ რას ვიზამთ, როცა სარემონტო სამუშაოები დაიწყება. როგორც გვითხრეს ზაფხულის პერიოდში უნდა დაიწყოს პროცესი. ზოგადად, დედოფლისწყაროს მერი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი ყოველთვის გვერდით გვიდგას. როცა ხარვეზი გვაქვს, ან რაიმე საკითხზე მიგვიმართავს, ყოველთვის ვგრძნობთ მხარდაჭერას. მისგან უარყოფითი პასუხი ჯერ არ გვქონია. პირიქით, იმდენად ყურადღებიანია, დრო რომ გავა და შევხვდებით, ყველაფერი ისევ დეტალებში ახსოვს და საკითხს აუცილებლად მოიკითხავს ხოლმე“.

გაცვლითი სასწავლო პროგრამა საფრანგეთში

„ერასმუს+“ის გაცვლითი სასწავლო პროგრამით კავკასიის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი, დედოფლისწყაროელი ლევან პოპიაშვილი საფრანგეთში გაემგზავრა. ევროკავშირის დაფინანსებით საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტთა ევროპის ქვეყნებში სწავლა და ცხოვრება ფინანსდება. ლევან პოპიაშვილი კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტია.

რა უნარ-ჩვევებია საჭირო, რომ მოზარდმა უმაღლესი განათლების მიღება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში უფასოდ შეძლოს და გაცვლით პროგრამებში მოხვდეს – ამის გასარკვევად გაზეთი „შირაქი“ წარმატებული სტუდენტის აღმზრდელ-პედაგოგებს ესაუბრა და დეტალებით დაინტერესდა.

ნაზი სიბაშვილი ***(მშობელი):*** „სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და შემდეგ სახელმწიფო სასწავლო გრანტიც მოიპოვა. ამჟამად ლევანი მესამე კურსზეა. ამ პროგრამაში მოსახვედრად რთული გზა გაიარა. ყოველთვის კარგად სწავლობდა. სკოლის დამთავრებისთანავე ჩააბარა კავკასიის უნივერსიტეტში, ქულების მიხედვით უმაღლეს რეიტინგში მოხვდა. პროფესიული არჩევანიც დამოუკიდებლად გააკეთა, ოჯახი მის გადაწყვეტილებაში არ ჩარეულა. ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტია და საფრანგეთშიც ბიზნესის სკოლაში ისწავლის. ჩააბარა საერთაშორისო გამოცდა ინგლისურ ენაშიც. როგორც ვიცი, მისი უნივერსიტეტიდან საფრანგეთში წასასვლელად სულ 3 სტუდენტი შეირჩა და დაფინანსდა, მათ შორის ლევანიც. საფრანგეთშიც გაიგზავნა ჩემი შვილის მონაცემები და იქიდანაც მოუვიდა თანხმობა. ჯერ ზუსტად არ ვიცით რამდენ ხანს დარჩება. სწავლას რომ დაასრულებს, გამოცდებსაც იქ ჩააბარებს. ამ ყველაფერს სრულად აფინანსებს ევროკავშირი, სწავლასაც და ადგილზე ცხოვრების ხარჯებსაც.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მისთვის სწავლა არასოდეს დამიძალებია . თვითონ ბუნებით არის ასეთი. მხოლოდ სწავლა აინტერესებს. რა თქმა უნდა, როგორც მშობელი ბედნიერი ვარ, რომ თავდაუზოგავი შრომით ეს ოცნება აისრულა, მაგრამ ვფიქრობ, ეს ჯერ დასაწყისია. იქ დიდი ასპარეზი აქვს და ბევრ რამეს შეიძენს. ახლახანს დაიწყო ლექციები და როცა ვესაუბრებით, აღფრთოვანებულია. შთაბეჭდილებების ქვეშაა, ისეთი მაგარი უნივერსიტეტია, ვერც კი ვიოცნებებდიო. სწავლებაც ძალიან მაღალ დონეზეა. იქ გამგზავრებით უფრო დამოუკიდებელი გახდება. გაიცნო უცხოელი ჯგუფელები და უკვე დაიმეგობრა. ვფიქრობ, მათგანაც ბევრ საინტერესოს ისწავლის. დიდი მოლოდინი გვაქვს ამ პროგრამიდან.

ბავშვობაში უცხოეთში წასვლაზე ნამდვილად არ უფიქრია. ცეკვაზე დადიოდა 12 კლასამდე, რომელიც ძალიან უყვარდა. მრავალი წლის განმავლობაში დედოფლისწყაროს ანსამბლში ქართული ცეკვების ერთ-ერთი სოლისტი იყო. თვითონ ჰქონდა ამის სურვილი, მშობლებს არასოდეს დაგვიძალებია“.

ლევან პოპიაშვილი: „მესამე კვირაა რაც საფრანგეთში ჩამოვედი, ამ მცირე დროის განმავლობაში უკვე მოვახერხე და დავათვალიერე ქალაქი, სადაც უნდა ვიცხოვრო და ვისწავლო. ეს ბრეტანის რეგიონის ქალაქი რენია. რენის ბიზნეს სკოლაში ვისწავლი. უკვე დავაგემოვნე ადგილობრივი კერძები და გავეცანი მათ სამზარეულოს. ევროკავშირის დაფინანსებით „ერასმუს+“-ის პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს ევროპის ქვეყნებში გაემგზავრონ და გაცვლითი პროგრამით საუკეთესო სასწავლებლებში ისწავლონ. ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში მიღებული განათლება კი ახალგაზრდებისთვის საუკეთესო შანსია. ეს ყველაფერი უფასოა და ამასთან ერთად გვაქვს საშუალება მივიღოთ სტიპენდია. საფრანგეთში გატარებული პერიოდი მომცემს საშუალებას, გავეცნო ადგილობრივ კულტურას და ცხოვრების წესს, სხვა ერების ტრადიციებს.“



ნუნუ ცაკაშვილი ***(დედოფლისწყაროს სასწავლო ცენტრი „სპექტრის“ ხელმძღვანელი):*** „ლევანი ჩემთან 8 წლის ასაკში მოიყვანეს, მესამე კლასიდან ჩართული ვარ მის აღზრდაში. მეამაყება, რადგან ერთად ბევრი გავიარეთ. შრომისმოყვარე და ნიჭიერია, შედეგი ამან დადო. ძალიან მოტივირებული და ასაკთან შესაბამისად წარმატებულია. მე მისთვის მასწავლებელზე უფრო ახლობელი ვარ, რადგან სხვა დამოკიდებულება გვაქვს. ჩემთვის ყოფილი მოსწავლე არ არსებობს და შემდგომშიც ხშირი კონტაქტი გვაქვს. ყველა მოსწავლესთან ასე ვარ, ხშირად ვეხმიანებით და საგანს ჩააბარებენ, თუ რაიმე სხვა საფეხურზე გადავლენ, ყოველთვის მეხმიანებიან. ლევანი საკმაოდ წარმატებული სტუდენტია. წარმოიდგინეთ, 750-მდე პროფესია არსებობს და ბიზნეს ადმინისტრირება ყველაზე მოთხოვნადი და დასაქმებადი პროფესიაა. პროფესიის არჩევის დროსაც ერთად გავიარეთ ეს პერიოდი. საკუთარ თავზე ბევრი იმუშავა, მოსწავლეობის დროსაც და სტუდენტობის პერიოდშიც. ეს ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ფაკულტეტია, სწავლის წლიური საფასური 9000 ლარია, მაგრამ ეროვნული გამოცდების შედეგად ლევანმა 70% სახელმწიფო გრანტიც მოიგო და შემდეგ დამატებით შიდა, უნივერსიტეტის გრანტიც მოიპოვა. ჩემს შვილსაც ამ უნივერსიტეტის სწორედ ეს ფაკულტეტი აქვს დამთავრებული და ლევანს სულ ვურჩევდი, რომ არჩევანი ამაზე შეეჩერებინა, რადგან ჩემი შვილი 6 წელია ბრიტანეთში მუშაობს. საბედნიეროდ, ჩემი რჩევა გაითვალისწინა და მისთვის მოტივაცია აღმოჩნდა. ვიცი, რომ ოცნებობდა გაცვლით პროგრამებზე და მიხარია, რომ ეს შესაძლებლობა მიეცა. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია მის ცხოვრებაში. საფრანგეთში ერთი კვირითაც რომ იმოგზაურო, ეს რამხელა შთაბეჭდილებები და თვალსაწიერის გაფართოებაა. ახლა თუ მთელი ერთი სემესტრით ყველაზე პრესტიჟულ სასწავლებელში, პრესტიჟულ ფაკულტეტზე ისწავლის, ეს უდიდესი შანსია. ყველაფერი ფინანსდება პროგრამის მიერ და გარდა იმისა, რომ სწავლისა და ცხოვრების ხარჯები არ ექნება, ლევანი დამატებით 800 ევროიან სტიპენდიასაც მიიღებს. საფრანგეთი არაჩეულებრივი შესაძლებლობა და მომავალში წარმატებულად დასაქმების გარანტიაა. სხვა ქვეყნებთან შედარებით ფრანგული განათლების სისტემა მაღალ საფეხურზეა. გაცვლით პროგრამებში მონაწილე ბავშვებს თერგდალეულებს ვუწოდებ, რადგან მათ საქართველოსთვის დიდი საქმის გაკეთება შეუძლიათ. ამიტომაც ვავლებ პარალელს ამ თაობასა და თერგდალეულებს შორის. სხვათაშორის, უნივერსიტეტის რეიტინგში პირველი იყო ასევე ჩვენი მოსწავლე თაკო სეხნიაშვილი, რომელიც რამდენიმე წლის წინ 1 სემესტრით წავიდა ესტონეთში, სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კი იქ დარჩა და ახლაც იქ მუშაობს. ტალინში გახსნა სასწავლო ცენტრი. ეს დიდი სიამაყეა...“

გვერდი მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

შირაქის ავიაბაზას თეირანის გაქრობა შეეძლო

ქიზიყელების შურისძიება შაჰ-აბასზე, რომელიც არ შედგა

ირანის მიერ 17 იანვარს მეზობელი პაკისტანის ტერიტორიის დაბომბვამ მთელი მსოფლიო შეაშფოთა, რადგან ისლამაბადი დიდი ხანია, ბირთვულ იარაღს ფლობს და მისი პასუხი შეიძლება მართლაც გამანადგურებელი გამომდგარიყო თეირანისთვის, თუმცა ამჯერად ისლამაბადი პასუხის დაბრუნებას, ირანის საზღვრისპირა ტერიტორიის მხოლოდ ჩვეულებრივი ბომბებითა და რაკეტებით დასჯერდა და საქმე, საბედნიეროდ, არ მივიდა ბირთვული იარაღის საბრძოლო მიზნებით გამოყენების გამეორებაზე, როგორც ეს ერთხელ უკვე მოხდა, 1945 წელს, იაპონიის წინააღმდეგ...

თუმცა ბირთვული იარაღი ირანზე ყოველთვის იყო დამიზნებული, მათ შორის - 1970-80-იან წლებშიც, როდესაც საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას თავის სტრატეგიულ გეგმებში გათვლილი ჰქონდა ტაქტიკური ბირთვული იარაღით დარტყმის განხორციელება ირანის სტრატეგიულ ობიექტებზე, მათ შორის - თავად თეირანზეც... კახეთიდან!

საქართველოს ამ უმშვენიერეს კუთხეს - კახეთს საუკუნეების განმავლობაში არა ერთი ტანჯვა განუცდია, სპარსეთის მხრიდან და „პირველი ცივი“ ომის დროს სწორედ კახეთიდან განხორციელებულ ბირთვულ დაბომბვებს ირანის ჩრდილოეთი ნაწილი, თეირანის ჩათვლით, შეიძლება მეორე ჰიროსიმად გადაექცია...

თუმცა მივყვეთ მოვლენებს...

ქალაქ დედოფლისწყაროსთან (ყოფილი წითელწყარო) მდებარე დიდ შირაქში აეროდრომის აშენების ინიციატივა ეკუთვნის გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმერ ნანეიშვილს, რომელიც 1950 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის 34-ე საჰაერო არმიის სარდალი გახლდათ. თელავის აეროდრომიდან აფრენის შემდეგ ნანეიშვილის ამერიკულ ბომბდამშენს - „ბოსტონს“ ტექნიკური პრობლემები შეექმნა და გენერალმა ორმოტორიანი თვითმფრინავი ავარიულად მდინარე ალაზნის ახლოს, მინდორზე დასვა. ნანეიშვილს ისე მოსწონებია ეს ადგილი, ყველა ღონე უხმარია, რომ მოსკოვში მიეღოთ გადაწყვეტილება, შირაქის ველზე, სოფლების - ზემო ქედისა და არხილოსკალოს ახლოს, სამხედრო აეროდრომის აშენების შესახებ.

ასე აშენდა დიდი შირაქის აეროდრომი. თავდაპირველად აეროდრომს არ ჰქონდა ბეტონირებული ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი, რაც შიდაწვისძრავიანი თვითმფრინავების ბაზირებისთვის დიდი პრობლემა არ გახლდათ. მოგვიანებით, როდესაც საბჭოთა ავიაციაში მასობრივად გამოჩნდა რეაქტიულძრავიანი საბრძოლო თვითმფრინავები, დიდ შირაქში ასაფრენ-დასაფრენ ზოლზე ბეტონის ფილები დააგეს...

დიდი შირაქის აეროდრომზე განთავსებული იყო ალექსანდრე ნეველის სახელობის წითელდროშოვანი 168-ე გვარდიული გამანადგურებელ-ბომბდამშენთა საავიაციო პოლკი, რომლის შეიარაღებაში 1977 წლამდე Су-7Б ტიპის გამანადგურებელ-ბომბდამშენთა სამი ესკადრილია შედიოდა.

ამ ტიპის თვითმფრინავებს არაბები აქტიურად იყენებდნენ ექვსდღიან ომში, ისრაელთან (1967 წ.), ინდოელები - ინდოეთ-პაკისტანის მესამე ომში (1971 წ.),



ეგვიპტელები - ოქტომბრის ომში (1973 წ.) და სირიელები - ისრაელის წინააღმდეგ.

არსებობს ვარაუდი, რომ ამ გამანადგურებელ-ბომბდამშენების არა ერთმა საბჭოთა მფრინავმა, რომელიც თავის დროზე დიდ შირაქში მსახურობდა, მონაწილეობა მიიღო არაბი და ინდოელი პილოტების მომზადებაში და თვითონაც ბომბავდა ეგვიპტის აეროდრომებიდან ისრაელის არმიის დანაყოფებს.

70-იანი წლების ბოლოსთვის უკვე მოძველებული Су-7Б-ები იმ დროისთვის თანამედროვე Су-17-ის ტიპის გამანადგურებელ-ბომბდამშენებმა ჩაანაცვლეს. ამ გამანადგურებელ-ბომბდამშენს 10 პილონზე 3,6 ტ საერთო მასის ბომბები და რაკეტები მიჰქონდა და მისი საბრძოლო მოქმედების რადიუსი, დამატებითი საწვავის ავზების გარეშე, 590 კმ-ს აღწევდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დედოფლისწყაროდან აფრენილი Су-17М3-ების საბრძოლო მოქმედების რადიუსში ხვდებოდა არა მარტო ირანის ჩრდილოეთი ნაწილი (ქ. თავრიზის ჩათვლით), არამედ - თეირანიც კი, თუკი Су-17М3-ებს საწვავის ორ დამატებით ავზს ჩამოჰკიდებდნენ.

დიდი შირაქის გამანადგურებელ-ბომბდამშენთა პოლკს NATO-ს წინააღმდეგაც შეეძლო საბრძოლო მოქმედებების წარმოება. საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის საქართველოს მონაკვეთამდე, დიდი შირაქიდან პირდაპირი ხაზით, 250 კმ-ზე მეტი არ იყო და კახეთიდან აფრენილ გამანადგურებელ-ბომბდამშენებს ბომბების ჩამოყრა (მათ შორის - ბირთვულისაც) ტრაპიზონსა და ერზრუმშიც კი შეეძლოთ.

მესამე მსოფლიო ომის დაწყებამდე საქმე, საბედნიეროდ, არ მივიდა, თუმცა „დიდმა შირაქელმა“ პილოტებმა თავიანთ გამანადგურებელ-ბომბდამშენებით მაინც მოასწრეს ომის ნახვა.

1984 წელს დიდი შირაქიდან პილოტებისა და თვითმფრინავების ჯგუფი ავღანეთში გაიგზავნა, საომრად. ფრენები, ძირითადად, ავღანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში, ყანდაარის აეროდრომიდან ხორციელდებოდა.

ავღანეთიდან დაბრუნებულ „დიდ შირაქელებს“ კი სიურპრიზი ელოდათ - მათმა პოლკმა სახელი შეიცვალა და გამანადგურებელ-ბომბდამშენის ნაცვლად ბომბდამშენების საავიაციო პოლკი ეწოდა. სახელის შეცვლა იმით იყო განპირობებული, რომ Су-17М3-ის ტიპის გამანადგურებელ-ბომბდამშენების ნაცვლად, პოლკის გადაიარაღება 1988 წლიდან Су-24 ტიპის საფრონტო ბომბდამშენებით დაიწყო.

ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა 36-ე ბომბდამშენთა საავიაციო დივიზია, რომელიც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის 34-ე საჰაერო არმიაში შედიოდა. 36-ე ბომბდამშენთა საავიაციო დივიზიის შტაბიც დიდ შირაქში განთავსდა და მასში იქვე დისლოცირებული 168-ე პოლკის გარდა, შედიოდა 143-ე (ქუთაისთან, კოპიტნარში, შეიარაღებაში 28 ცალი Су-24М-ის ტიპის მოდერნიზებული საფრონტო ბომბდამშენი) და 976-ე ბომბდამშენთა პოლკები (აზერბაიჯანში, ქ. კიურდამირი, შეიარაღებაში 29 ერთეული Су-24).

დიდ შირაქში 1992 წლის დასაწყისისთვის 30 ცალი Су-24-ის ტიპის საფრონტო ბომბდამშენი იდგა, რომელთა საბრძოლო ამოცანები Су-17М3-ებთან შედარებით გაზრდილი გახლდათ, თუნდაც იმიტომ, რომ დიდი შირაქიდან აფრენილი 39,7 ტ-იან Су-24-ს 7 ტ საერთო მასის ბომბებისა და რაკეტების წაღება 600 კმ რადიუსში შეეძლოთ.

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, საქართველოში 168-ე ბომბდამშენთა პოლკის ისტორია სრულდებოდა. 1991 წლის დეკემბერში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დაისვა საკითხი პოლკის სასწრაფოდ რუსეთში გაყვანის შესახებ.

1992 წლის 10 ივნისისთვის 30-ვე Су-24-ის ტიპის ბომბდამშენი დიდი შირაქიდან ჩრდილოეთ კავკასიაში, მარინოვკის აეროდრომზე გადააფრინეს. პოლკის პირადმა შემადგენლობამაც იმავე წლის ოქტომბრამდე დატოვა გარნიზონი.

მას შემდეგ დიდი შირაქის სამხედრო აეროდრომის პირდაპირი დანიშნულებით გამოყენება საქართველოს ხელისუფლებას არ უცდია, თუმცა ხანდახან იქ ქართული მოიერიშეები სხდებოდნენ. გაიძარცვა აეროდრომისა და სამხედრო ქალაქის ინფრასტრუქტურა, მოიპარეს ბეტონის ფილები, დაშალეს შენობები.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს დიდი შირაქის აეროდრომის ახლოს რუსულმა ბომბდამშენებმა (არ არის გამორიცხული, სწორედ მარინოვკის Су-24-მაც კი) რამდენიმე ბომბი ჩამოაგდეს.

რუსული მარინოვკის აეროდრომიდან უკრაინის აღმოსავლეთ საზღვრამდე მხოლოდ 275 კმ-ია და ბუნებრივია, რუსეთის საოკუპაციო ძალები ამ აეროდრომიდან აფრენილი ბომბდამშენებიდანაც ახორციელებენ საჰაერო დარტყმებს უკრაინის ქალაქებზე, თუმცა ის Су-24-ის ტიპის არამოდერნიზებული საფრონტო ბომბდამშენები, რომლებიც 34 წლის წინათ კახეთის დიდი შირაქიდან ამ აეროდრომზე გადაიყვანეს, უკვე ჩამოწერილები არიან და აღარ დაფრინავენ...

ირაკლი ალადაშვილი
სამხედრო ექსპერტი

ნაპოვნია ფიროსმანის უცნობი ტილო

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ირაკლი ფარჯიანის სახელობის ხელოვნების ნიმუშების კვლევისა და ექსპერტიზის ლაბორატორიაში კერძო კოლექციის ფერწერულ ნამუშევარს - „ირემი“ - საექსპერტო კვლევა ჩაუტარდა და ნიკო ფიროსმანაშვილის ავტორობა დადასტურდა.

ხელოვნების ნიმუშების კვლევისა და ექსპერტიზის ლაბორატორიის დასკვნა ნიკო ფიროსმანაშვილის ფერწერული ნამუშევრის - „ირემი“ - ავთენტურობის შესახებ გადაეცა მესაკუთრეს და მას დაუბრუნდა კვლევისათვის ლაბორატორიაში წარმოდგენილი ფერწერული ტილო. საექსპერტო დასკვნის გადაცემის ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ვოლსკი, საექსპერტო ლაბორატორიის პარტნიორი, თოდუას კლინიკის გენერალური მენეჯერი გიორგი დიასამიძე, მხატვრები, მათი ოჯახის წევრები, გალერისტები, ხელოვნებათმცოდნეები და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

2023 წლის 2 აგვისტოს ირაკლი ფარჯიანის სახელობის ხელოვნების ნიმუშების კვლევისა და ექსპერტიზის ლაბორატორიას საექსპერტო კვლევის ჩასატარებლად მიმართა მოქალაქე ლაშა შენგელიამ და წარადგინა კერძო კოლექციის ფერწერული ნამუშევარი „ირემი“, რომელსაც ახლავს ხელმოწერა: „ნიკო ფიროსმანაშვ...“ ეს არის მუყაო, ტილოზე დუბლირებული და ქვეჩარჩოზე. ნახატი შესრულებულია ზეთით, ზომა - 80, 5x102. ნამუშევარი რესტავრირებულია.

„საექსპერტო კვლევა მიზნად ისახავდა ნამუშევრის ავთენტურობის განსაზღვრას, რაც მოიცავს კომპლექსურ - სახელოვნებათმცოდნეო და ტექნოლოგიურ კვლევას. კომპლექსური კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები და მათი შედარება ხელოვნების მუზეუმის კოლექციაში დაცული ნიკო ფიროსმანაშვილის ორიგინალების კვლევის შედეგებთან, ასევე - სამეცნიერო პუბლიკაციებზე დაყრდნობით გაკეთებული ანალიზი, ლაბორატორიის ესპანელი ექსპერტის, ენრიკე პარას პროფესიონალური კონსულტაცია და მისი აქტიური მონაწილეობა კვლევით პროცესში ადასტურებს, რომ ლაბორატორიაში წარმოდგენილი ფერწერული ნამუშევრის - „ირმის“ ავტორია ნიკო ფიროსმანაშვილი. ნამუშევრის კვლევისას ასევე ჩატარდა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის კოლექციაში დაცული ნიკო ფიროსმანაშვილის რამდენიმე ნამუშევრის კომპლექსური კვლევა შედეგების შესადარებლად; შესწავლილია შესაბამისი ლიტერატურული წყაროები; ნამუშევრის ფერწერული ფენის ზედაპირს ჩაუტარდა კვლევა სტერეომიკროსკოპით და მოხდა ცალკეული ფრაგმენტების ფოტოფიქსაცია; გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ფოტოგადაღების მეთოდი: ხილვადი რეჟიმით საერთო ხედისა და ფრაგმენტების მაკროფოტოგადაღება, ულტრაიისფერი დასხივებით და ინფრაწითელი კამერით გადაღება, რენტგენოგრაფირება და მიღებული მონაცემების შედარება ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების არსებულ რენტგენოგრამებთან; ნამუშევრიდან აიღეს ნიმუშები და მოამზადეს ისინი საკვლევად. ნიმუშების კვლევა ჩატარდა რამანის ოპტიკური მიკროსკოპით, ლუმოსის ინფრაწითელი სპექტროსკოპით; ასევე, ჩატარდა ნიმუშების მეტალიზაცია (მოოქროვება) და კვლევა ელექტრონული მიკროსკოპით. გაიშიფრა მიკროსკოპებით კვლევის შედეგად გაზომილი სპექტრები და მოხდა მათი ინტერპრეტაცია", - აღნიშნულია განცხადებაში.

2023 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ირაკლი ფარჯიანის ფონდის თანამშრომლობით შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა ამიერკავკასიაში პირველი ხელოვნების ნიმუშების კვლევისა და ექსპერტიზის სახელმწიფო ლაბორატორია, რომელსაც ირაკლი ფარჯიანის სახელი მიენიჭა.

ლაბორატორია მოწყობილია 542 m^2 სივრცეში თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და აღჭურვილია უმაღლესი ტექნოლოგიური აპარატურით. ხელოვნების ნიმუშების კვლევისა და ექსპერტიზის სახელმწიფო ლაბორატორიის პროექტი ირაკლი ფარჯიანის ფონდთან კულტურის სამინისტროს კონსულტაციითა და უნყების უშუალო მონაწილეობით შემუშავდა. აღსანიშნავია, რომ ლაბორატორიის შექმნის იდეა გაჩნდა 2021 წლის ივლისში, როდესაც საქართველოს კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა და ირაკლი ფარჯიანის ფონდის თავმჯდომარემ მიხეილ ჯიქიამ, სოფო ფარჯიანის ხელშეწყობით, ხელი მოაწერეს თანამშრომლობის მემორანდუმს.

ორი წელი მეუფის გარდაცვალებიდან

23 იანვარს დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში წირვა აღასრულა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის დროებითმა მმართველმა, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორე ჭუაძემ. წირვის შემდეგ მეუფე დიმიტრის საფლავზე მისი სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადეს.

ღვთისმსახურებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი დაესწრნენ. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრი, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი დიმიტრი (კაპანაძე) 2022 წლის 23 იანვარს კოვიდინფექციის გართულებით გარდაიცვალა. ის ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიას 2015 წლის იანვრიდან მართავდა. მისი წარდგენის პარაკლისი დედოფლისწყაროს საკათედრო ტაძარში 2015 წლის 16 იანვარს გაიმართა.

უკრაინის ომში დედოფლისწყაროელი მებრძოლი დაიღუპა

1 თებერვალს უკრაინაში, აღმოსავლეთის ფრონტის წინა ხაზზე ორი ქართველი მებრძოლი დაიღუპა. მათ შორის 36 წლის ზურა წიკლაური დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ თავწყაროდანაა. როგორც უკრაინაში მოქმედი ქართული ლეგიონი იუწყება, ისინი ქართული ლეგიონის შემადგენლობაში უკრაინაში 2014 წლიდან იბრძოდნენ.

როგორც გაზეთ „შირაქს“ სოფელ თავწყაროში უყვებიან, ის თავწყაროში დაიბადა და გაიზარდა. სკოლის დამთავრების შემდეგ კი ქალაქ რუსთავში ცხოვრობდა. ახლობლების განმარტებით, ზურა წიკლაური სამშობლოში ხშირად ჩამოდიოდა და დედოფლისწყაროში უკანასკნელად რამდენიმე თვის წინაც იმყოფებოდა.

„ორივე ჭურვის აფეთქების შედეგად დაიღუპა. ისინი ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე ძველი თანამებრძოლები იყვნენ. მოვახერხეთ ცხელი წერტილიდან ცხედრების გამოყვანა, ამჟამად ექსპერტიზა უტარდებათ. შემდეგ ფრონტიდან კიევში გადავასვენებთ და სამშობლოში გადმოსვენება მერე მოხდება,“ - აცხადებს ლეგიონის მეთაური.

ზურა წიკლაური 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილე იყო, მას ერთი შვილი დარჩა.

რამაზ გოგობერიშვილი გარდაიცვალა

51 წლის ასაკში გარდაიცვალა ლეგენდარული, ვეტერანი კალათბურთელი და საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი, საქართველოს სამგზის ჩემპიონი რამაზ გოგობერიშვილი.

რამაზ გოგობერიშვილის კარიერის მნიშვნელოვანი ეპიზოდები: * 16 წლის ჩაირიცხა თბილისის „დინამოს“ დუბლებში, ხოლო 17 წლისამ „დინამოს“ ძირითად გუნდში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მატჩებში მიიღო მონაწილეობა.

* დამოუკიდებელი საქართველოს ჩემპიონატში სამ კლუბში უთამაშია: რუსთავის „აზოტში“ (მოგვიანებით „ენერჯი-ინვესტი“), ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდ „სტუ-ჯეოსელსა“ და თბილისის “დინამოში“.

* 90-იანი წლების შუაწელში თამაშობდა საბერძნეთის „პაოკსა“ და „მენტში“, ასევე გამოდიოდა პორტუგალიის უმაღლესი ლიგის კლუბ „ავეიროში“.

სანაკრებო კარიერა: 1998-2002 წლებში იყო საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი. უთამაშია საბჭოთა კავშირის ასაკობრივ ნაკრებში

მიღწევები: საქართველოს სამგზის ჩემპიონი, ორგზის თასისა და ორგზის სუპერთასის მფლობელი. დუდუ დადიანისა და ქორქია-საკანდელიძის მემორიალის სამგზის გამარჯვებული.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მერია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი რამაზ გოგობერიშვილი. სახელოვან კალათბურთელს ჩვენს მუნიციპალიტეტთან განსაკუთრებული სიახლოვე და სიყვარული აკავშირებდა, ამიტომაც 2016 წელს ის საპატიო დედოფლისწყაროელად დასახელდა.

კაზმერ კოხტაშვილი

მონატრება

კაზმერ, ძმაო, 16 იანვარს შენი დაბადების დღე იყო, 75 წლის გახდებოდი. არ ვიცი, რა ჰქვია, როცა დაბადების დღეს იმქვეყნიურ სასუფეველში გილოცავ, ჩემო ძმაო, ალბათ ეს დიდი მონატრება და გახსენებაა შენი.ცრემლით და მონატრებით გადის ეს ტანჯული წლები (19 წელი-19 დღე) იზრდებიან შენი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები. იმრავლონ და იხარონ ყველამ. მე კი გული მტკივა, შენი სიდარბაისლით ვერ მოესწარი ამ დიდ სიხარულს. გვიყვარხარ და გვენატრები ყველას.

შენი და მაყვალა კოხტაშვილი

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“- დედოფლისწყაროს სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლები იუწყებიან ღვაწლმოსილი ქირურგის

გია ბოსტოღანაშვილის

გარდაცვალებას, ღრმა მწუხარებას გამოხატავენ და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს - მანანა ბეგლარიშვილს და შვილებს ლევან და გიორგი ბოსტოღანაშვილებს.

დედა: თამარ პოპიაშვილი, მეუღლე თამუნა მოდებაძე, შვილები: სანდრო, ნინი, გაბრიელი, ძმა ლევანი, მამიდა ანგელინა, დეიდა ნიაზი პოპიაშვილი ოჯახებით, სიდედრი ლია, ცოლისძმა გიორგი მოდებაძე ოჯახით, იუწყებიან

ალიკა ღორაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 30 იანვარს სოფელ გამარჯვებაში.

დები: ნანა და მადლენა ყოჩიაშვილები, დისშვილები: ლელა და გელა ქადაგიშვილები, ეკა და მაკა აფციაურები იუწყებიან ძმისა და ბიძის

ლონგო ყოჩიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს მარიკო დეისაძეს, შვილებს: სოსო, ია და მაია ყოჩიაშვილებს.

ნაირა, ციხელო, გულნარა, მანანა, თამილა გორაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ალიკა ღორაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ თამარ პოპიაშვილს შვილის, თამუნა მოდებაძეს, სანდრო, ნინი, გაბრიელ ღორაშვილებს მეუღლისა და მამის, ლევან ღორაშვილის ოჯახს ძმის, ანგელინა ღორაშვილის ოჯახს ძმისშვილის გარდაცვალების გამო.

ნაზი მოსაშვილი და ილია ბიკაშვილი სამძიმარს უცხადებენ მარიკო დეისაძეს მეუღლის, სოსო, მაია და ია ყოჩიაშვილების ოჯახებს მამის

ლონგო ყოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნაზი მოსაშვილის ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს ანგელინა ღორაშვილს ძმისშვილის

ალიკა ღორაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნაზი მოსაშვილი და ილია ბიკაშვილი სამძიმარს უცხადებენ მადლენა ყოჩიაშვილს ძმის, ეკა და მაკა აფციაურებს ბიძის

ლონგო ყოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნელი სულაშვილი და ომარ ალადაშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ თამარ პოპიაშვილს შვილის, ანგელინა ღორაშვილს ძმისშვილის

ალიკა ღორაშვილის

გარდაცვალების გამო.

გელა გველუკაშვილი და ელზა ხარაშვილი ოჯახით მარიკო დეისაძეს, სოსო, ია და მაია ყოჩიაშვილებს მეუღლის და მამის

ლონგო ყოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „შირაქის“ თანამშრომლები იუწყებიან ერთგული მკითხველის **გულო იაკობიშვილის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გამოსათხოვარი

გია ბოსტოღანაშვილი

დედოფლისწყაროს საავადმყოფომ დიდი დანაკლისი განიცადა – მოულოდნელად გარდაიცვალა ქირურგი გია ბოსტოღანაშვილი. გია ექიმი ცნობილი ექიმის–ლევან ბოსტოღანაშვილის ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. ბავშვობიდან ეზიარა ქირურგის რთულ და საპასუხისმგებლო პროფესიას. ექიმის სირთულეებით აღსავსე ცხოვრების მიუხედავად, არ შეუშინდა ამ პროფესიას და თავადაც ქირურგობაზე შეაჩერა არჩევანი. ახალგაზრდა ასაკიდან დაიჭირა ხელში სკალპელი, სირთულეებთან ბრძოლაში იუმორი დაიხმარა და საუკეთესო ექიმის სახელიც მოიპოვა.

კორონავირუსის დროს, როდესაც ჩვენი საავადმყოფო კოვიდ-ცენტრად გადაკეთდა, ძალ-ღონეს არ ზოგავდა პაციენტების გადასარჩენად. თავადაც დასნებოვნდა კოვიდ-19-ით, მაგრამ თავი ვაჟკაცურად ეჭირა, არ ეპუებოდა საშიშ ვირუსს და იუმორის გრძნობასაც არ კარგავდა.

საუკეთესო პროფესიონალი და სანდო ქირურგი, ადამიანი, რომლის იმედიც ყველა პაციენტს ჰქონდა – ასე იხსენებენ დღეს გია ექიმს დედოფლისწყაროელები.

ახალი წლის წინა დღეებში სწორედ პაციენტის საწოლთან უწია სიკვდილმა. ექიმის ცხოვრებაც ხომ ყოველდღიური ბრძოლაა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად. ასე იდგა გია ექიმი სკალპელით ხელში ათწლეულების მანძილზე პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სადარაჯოზე. იმ 90-იან წლებშიც, ლამპის შუქზე, ჩაბნელებულ საოპერაციოში, ბევრი ადამიანი გადაურჩენია, ბევრისთვის გამხდარა მხსნელი. თავად კი, პაციენტის საწოლთან ისე გარდაიცვალა, ვერავინ მოასწრო მისი შველა, მისი გადარჩენა...

გია ბოსტოღანაშვილის სახელი დიდხანს დარჩება მისი მადლიერი პაციენტების, ოჯახისა და დედოფლისწყაროელების ხსოვნაში. ღმერთმა დაუმკვიდროს მის სულს სასუფეველი.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია

გია ბოსტოღანაშვილი

გია ექიმო, ძალიან მიჭირს თქვენზე წარსულ დროში საუბარი. ბევრი წელი ვიმუშავეთ ერთად, ბევრჯერ გავმხდარვარ მოწმე, როგორ იბრძოდით პაციენტების სიცოცხლის გადასარჩენად. ახლაც მიჭირს იმის დაჯერება, რომ ჯანღონით სავსე ადამიანს სიკვდილი მოგერიათ. კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ გამონათქვამი-„ღმერთსაც კარგი უნდაო“, მართალი ყოფილა. ჩვენი საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილება თქვენს გარეშე ვერ წარმომიდგენია.

იძინეთ მშვიდად, მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური დედოფლისწყაროს მიწა. ვუსამძიმრებ ამ დიდ ტკივილს თქვენს ოჯახს, საავადმყოფოს და მთელ დედოფლისწყაროს.

თამარ ყაჭაშვილ–ყანდაშვილი

მონატრება

ვაჟა იაკობიშვილი



2 წლის დარჩი მამით ობოლი, დედამ და ბაბო-პაპამ გაგზარდეთ და დაგავაჟკაცეთ ზრდილობიანი, მორიდებული, ყველას პატივისმცემელი სასახელო ბიჭი.

სამხედრო სამსახურიც კეთილსინდისიერად, ქების სიგელებით და მადლობის ბარათებით მოიხადე. ჯარიდან ჩამოსვლის შემდეგ ააშენე სადურგლო ცეხი და იქ მუშაობდი, 20 წლის ბიჭმა შრომით და გარჯით დაიმსახურე პატივისცემა და სიყვარული მეზობლებშიც და ნათესავებშიც, ზოგს ანაზღაურებასაც არა სთხოვდი, ვინც გაჭირვებული იყო, უანგაროდ ეხმარებოდი. 23 წლის უნდა გამხდარიყავი და ახალ წელს ბედნიერები დედა და სამი ობოლი შვილი ერთად შევხვედროდით, მაგრამ დაჰკრა ჟამმა მწუხარებისამ. ვეღარ შეხვდი ახალ წელს, შენი დაღუპვის მიზეზი დღესაც არ ვიცით. ცოდვა ვინ დაიდო, რა იქნებოდა შენც გაგეხარა, უმამოდ გაზრდილ, 22 წლის მამის ნატრულ შვილს, რომელსაც ბედმა 2 წლის პატარას მოუკლა მამა... ჩაგვიმწარდა ყველა სიხარული, ვერც ოჯახის შექმნა მოასწარი და ვერც ცოლშვილის სიტკბო იგრძენი. უმამობა არ გაკმარა ღმერთმა და შენც ბედისწერამ გიმუხთლა. ქმარ-შვილის უდროოდ დაღუპვამ, დამაავადმყოფა, საწოლს მიმაჯაჭვა დარდით. ყოველდღე ვეხვეწები ღმერთს სიკვდილს, მაგრამ ესეც არ ყოფილა ადამიანის ნება. რაკი შენ მამასთან ყოფნა გარგუნა ბედისწერამ, იძინე ტკბილად, ჩემო ნაბოლარა შვილო ვაჟიკო. გული როგორ უძლებს უშენობას შვილო, სიმწრის ცრემლები მდის თვალებიდან, ხუთი წელი დაბრმავებული ვიყავი ორივე თვალით და ვერ გხედავდი სურათებშიც კი, ეხლა ერთი თვალი ოპერაციით ამიხილეს და შენ გიყურებ სურათებში შვილო, ესეც მყოფნის. თურმე ღმერთი აძლებინებს საწყალ დედას შვილი რომ აღარ ჰყავს, მაგრამ ვაი ამ გაძლებას, გენაცვალოს შენი უბედური დედა. უკვე უშენობის 31 წელი გავიდა, შვილო, უშენოდ ძალიან მიჭირს გაძლება, უძლური ვარ, ლოგინად ჩავარდნილი, ღმერთს ვთხოვ, თქვენთან წამოვიდე, ამ ტანჯულ ცხოვრებას თქვენთან მირჩევია.

ნათელში გამყოფოს ღმერთმა და ჩემი ლოცვა შეგეწიოს შვილო, იძინე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი ტანჯული დედა

ნანული იაკობიშვილი–ღვინიაშვილი

გაცოცხლე ისტორია ექსპონატით

საქართველოს ერთერთი ლამაზი კუთხის ქიზიყის ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა უხსოვარი დროიდან განაპირობა თვითმყოფადი კულტურის შექმნა, რაზეც მეტყველებენ არა მხოლოდ უძველესი მითები და გადმოცემები, არამედ არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგებიც.

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ათასობით უნიკალური უძველესი ატრეფაქტია შემონახული. ისტორიული საგანძურის დიდი ნაწილი სათანადო პირობების არარსებობის გამო გამოფენილი არ არის. ამიტომ, გვინდა საზოგადოებას ცალკეული ექსპონატების შესახებ მოვუთხროთ. ერთ-ერთი საინტერესო ექსპონატია რომაელი ლეგიონერის მუზარადი (აღმოჩენილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედში....) ამ დრომდე ინახება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სადაც ნივთები თავიაანთ ნავსაყუდელს პოულობენ და ნათელს ჰფენენ საქართველოს ისტორიას, არც თუ უშფოთველს და წარმატებულს.

ისტორიული წყაროების მიხედვით, პომპეუსის (ძვ.წ.106-48 წწ) იბერიაში ლაშქრობის ძვ.წ 64 წ მიზანი არამარტო მისი დამოჩილება იყო, არამედ ინდოეთ-ევროპის დიდი სავაჭრო გზის ხელში ჩაგდება. როგორც ცნობილია ეს გზა, კოლხეთის, იბერიისა და ალბანიის (თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ უძველესი ქრისტიანული სახელმწიფო) მიწა-წყლით და კასპის ზღვით ინდოეთისაკენ მიემართებოდა პომპეუსი. ალბანელების 40 ათასიანი არმიის დამარცხების შემდეგ იბერიისკენ გაემართა. მან თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქრით შირაქის ველი გადმოიარა...

„მეგზურებმა (დიონ კასიოსის ცნობით) რომაელები წაიყვანეს ნაკლებად მოსახერხებელი გზით“... გრძელი გზის გარდა ყოფილა მოკლე გზა, რომელიც მიემართებოდა კოლხეთიდან ჯავახეთზე და თრიალეთზე, შემდეგ კი გარე კახეთის გავლით ხორნაბუჯის მიდამოებში და ალაზანის გავლით ბელაქნისკენ...

ლალი გასილაშვილი
დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდის მცველი

„იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო“

2 თებერვალს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში, წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიება ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მე-2ა კლასში შედგა. (მოსწავლეები:

1. დანიელა გოგოჭური
2. ეთი უნაფქოშვილი
3. გუგა მაძღარაშვილი
4. ლუკა კვანტალიანი
5. ანასტასია ბენაშვილი
6. იმედა მინდიკაური
7. ოთარ ღუღუნიშვილი
8. ლუკა ქეთელაური
9. ანასტასია ჩოხელი
10. გიორგი ჩოხელი
11. მარიამ აფციაური
12. ბარბარე ხატიაშვილი
13. საბა ხიზანიშვილი
14. ნიკოლოზ ხუციშვილი
15. ანა-მარია გლახოშვილი
16. ალექსანდრე სურმანიძე).

ქართული ენის პედაგოგმა **ლელა ჯავაშვილმა** დამსწრე საზოგადოებას შესავალი სიტყვით მიმართა, სადაც მან ამ დღის მნიშვნელობაზე ისაუბრა: „დღევანდელ დღეს მსოფლიოს ასზე მეტი ქვეყანა აღნიშნავს. ძალიან მიხარია, რომ ჩვენი ქვეყანა, საქართველო ამ დღესასწაულად გადაქცეულ ღონისძიებას უკვე მეცხრე წელია უერთდება. გადავწყვიტე, ეს დღე ჩემს ბავშვებთან ერთად აღმენიშნა. იდეამ ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა, ყველამ გამოთქვა მონაწილეობის სურვილი. გადავწყვიტეთ საჯაროდ ქართული ხალხური ზღაპარი „გვრიტი“ წაგვეკითხა. ბავშვებმა ზღაპრის თითოეულ ეპიზოდზე შესრულებული ილუსტრაციებით შექმნეს წიგნი, მისწერეს წერილი ზღაპრის უარყოფით პერსონაჟს“.

ბავშვებმა ქართული ხალხური ზღაპარი „გვრიტი“ დამსწრე საზოგადოების წინაშე საჯაროდ წაიკითხეს, რის შემდგომაც იმსჯელეს მის მთავარ სათქმელზე, დაახასიათეს თითოეული პერსონაჟი, განაზოგადეს ზღაპრის იდეა, რომელშიც გვრიტი შედარებული იყო საქართველოსთან, პერსონაჟები კი სხვადასხვა კუთხეებთან, რომელთა ერთიანობითა და თანადგომით მტერზე გამარჯვება შესაძლებელია. ერთიანობით შესაძლებელია იმ „დაკარგული ბარტყების“ დაბრუნებაც, რომელიც საქართველოს განუყოფელი ნაწილი - აფხაზეთი და ისტორიული სამაჩაბლოა. განხილვის შემდეგ, ბავშვებმა მონაწილეობა მიიღეს როლურ კითხვაში (სპექტაკლში), სადაც როლებს ასრულებდნენ: დანიელა გოგოჭური, გუგა მაძღარაშვილი, ეთი უნაფქოშვილი, ლუკა კვანტალიანი, ანასტასია ბენაშვილი, ოთარ ღუღუნიშვილი, ლუკა ქეთელაური.

ღონისძიება დამსწრე საზოგადოების დადებითი ემოციების ფონზე მიმდინარეობდა. გამორჩეულად საინტერესო და პროდუქტიული ღონისძიებისთვის დადებითი შეფასება და მადლობა პედაგოგმა ლელა ჯავაშვილმა დაიმსახურა. გარდა ამისა, მოწვეულმა პედაგოგებმა მოსწავლეებს უსურვეს ცხოვრებაში ბევრ საინტერესო წიგნთან ზიარება და კარგი წიგნის წაკითხვით მიღებული წარუშლელი შთაბეჭდილებების მიღება. წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის კლასის თითოეულ მოსწავლეს სამახსოვრო სიგელები გადაეცა.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი
ხათუნა გენაშვილი

ულოცავენ!

მარი, გიორგი, ელგუჯა სუარიშვილებს! ნონა და ნათელა მამუკელაშვილებს !

გულწრფელად ვუერთდებით თქვენი ოჯახის დიდ სიხარულს და გილოცავთ სარა სუარიშვილის დაბადებას! სარას თავის ორი წლის დაიკო აისისთან ერთად ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს!

სიყვარულით, ნანა, მარიკა, გოჩა, არსენა, დათო ყოჩიაშვილები.

ნაირა გორაშვილს!

საქართველოს მასშტაბით გამოვლენილ საუკუნის ლეგენდის ნომინანტს, ღვაწლმოსილ ჟურნალისტს, გაზეთ „შირაქის“ ყოფილ რედაქტორს, ნაირა გორაშვილს ვულოცავთ 80 წლის იუბილეს. 26 იანვარს დაბადებულ ქალბატონს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს.

პატივისცემით, დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის გამგეობა

* * *

80 წლის საიუბილეო თარიღს გილოცავთ, ქალბატონო ნაირა. ნაყოფიერად განვლეთ თქვენი ცხოვრების გზა, დიდი წვლილი შეიტანეთ რაიონული გაზეთის გადარჩენის საქმეში. ღვანლი დაგიფასათ ადგილობრივმა ხელისუფლებამ და თქვენმა აღზრდილმა თაობამ. ვალმოხდილი გახვედით პენსიაში, ახლა კი შვილებსა და შვილიშვილებში ხარობთ. კიდევ დიდხანს გვეგულებოდეთ.

***პატივისცემით, მშობლიური* გაზეთ „შირაქის“ რედაქცია.**

ჯემალ კვანჭილაშვილს და ავთანდილ ჯანაშვილს!

სოფლის მეურნეობის ყოფილ უფროსებს ბ-ნ ჯემალს და ბ-ნ ავთანდილს ვულოცავთ დაბადების დღეს საუკეთესო სურვილებით და პატივისცემით ამავე სამმართველოს თანამშრომლები:

კაკო სამუკაშვილი, ნანა აფციაური, ნანა ჭიჭინაძე, ზურაბ თეთვაძე, ივერი ჭუჭულაშვილი, თამაზ ჯანიკაშვილი, მერაბ ფიროსმანაშვილი, მაყვალა ჯორკოშვილი, თამრიკო პაპაჩაშვილი, მაყვალა მამულაშვილი.

სპარტაკ ქობულიას!

საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, ღირსების ორდენოსან, ნიკო ნიკოლაძის, ილია ჭავჭავაძის, წმინდა ექვთიმე ღვთის კაცის, „ოქროს ღვთის“ პრემიის ლაურეატს, უაღრესად კეთილშობილ პიროვნებას, ჭეშმარიტ ინტელიგენტს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს სპარტაკ ქობულიას გულითადად ვულოცავთ დაბადებიდან 75-ე წლისთავს.

საუკეთესო სურვილებით და პატივისცემით, გაზეთ „შირაქის“ რედაქცია და დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის რაიონული გამგეობა.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 05.02	სამშაბათი 06.02	ოთხშაბათი 07.02	ხუთშაბათი 08.02	პარასკევი 09.02	შაბათი 10.02	კვირა 11.02
დღე	7°	4°	8°	12°	12°	11°	13°
ღამე	−2°	−1°	0°	1°	1°	1°	2°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (კორესპონდენტები); ხათუნა გენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი